



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

20-21-22 აპრილი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	მედიცინის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული #121, 21.10.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	დინ პარმელე, მედიცინის დოქტორი
-----------------------------	--------------------------------

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რაიტის სახელმწიფო უნივერსიტეტი აშშ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯილდა ჭეიშვილი თბილისის ღია უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე თოიძე კავკასიის სამედიცინო ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი გაიხსნა 1930 წელს. 1992 წელს მან მიიღო ავტონომიური უნივერსიტეტის სტატუსი და დაარსდა, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. 2021 წლის თებერვლის მონაცემებით, სასწავლებელს ჰყავს 3137 სტუდენტი, 547 პერსონალი (დამხმარე და სწავლების დონეზე) და 282 აკადემიური თანამშრომელი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისმა აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა 1691 სტატია ადგილობრივ ჟურნალში და 1648 - საერთაშორისო ჟურნალში. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, პროგრამაში განახლდა, ახალ სწავლის შედეგებზე ორიენტირებული, სასწავლო გეგმა, შეიცვალა სტრუქტურა და განხორციელება, სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. პროგრამა განსაზღვრავს სასწავლო გეგმის ოთხ ეტაპს და თითოეული მათგანი ქმნის საფუძველს შემდეგისთვის. განახლების ნიშანი იყო შინაარსის ინტეგრირება, ძირითადი ბიოსამედიცინო მეცნიერების შერწყმა კლინიკურ გამოყენებასთან და

შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო პრაქტიკის კომპეტენციების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს 2021 წლის 30 მარტს. ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა დაგეგმვის მიზნით(ვირტუალურად) 2021 წლის 16 აპრილს, ხოლო დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2021 წლის 20, 21, 22 აპრილს.ჯგუფის ოთხი წევრი იმყოფებოდა ქვეყანაში, ერთი კი (თავმჯდომარე) მონაწილეობდა ვირტუალურად. სამი დღის განმავლობაში მოხდა თსსუ-ს ორი სამედიცინო სკოლის მიმოხილვა და დაწესებულებაში ვიზიტის განახორციელება ერთი და იმავე ჯგუფის მიერ. ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელიც მართავს ამ ორ სკოლას, ასევე პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებთან, რომლებსაც "იზიარებენ" ეს სკოლები.

დღე 1: გამოიკითხა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, რომელიც ზედამხედველობს ორ სამედიცინო სკოლას, რასაც მოჰყვა ინტერვიუები თითოეული სკოლის შესაბამის თვითშეფასების გუნდთან. პირველ დღეს, ასევე,ჩატარდა გასაუბრები პროგრამის ორივე ხელმძღვანელთან ცალცალკე. თბილისში მყოფ ჯგუფის ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მისულიყვნენ დაწესებულებებში, რომლებიც სკოლებს ემსახურებიან.

დღე 2: ყურადღება გამახვილდა შეხვედრებზე, რომლებიც ჩატარდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულიპროგრამისა და ქართული პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლების წარმომადგენლებთან.

დღე 3: ეს დღე მიემდგნა შეხვედრებს თითოეული პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობასთან,ორივე პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან. მონაცემების საბოლოო და მოკლე შეჯამება წარედგინა უნივერსიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელობას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შეესაბამება ყველა რეგულაციასა და სტანდარტს, დაწესებულებების და დოკუმენტების მიმოხილვიდან, ხელმძღვანელობის ფართო წარმომედგენლობასთან,სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან დადაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე.

- **რეკომენდაციები**

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამამ, რომელიც 1930 წლიდან იღებს საფუძველს, მრავალი ცვლილება განიცადა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პროგრამაში დიდი ყურადღება და რესურსი დაეთმო სასწავლო გეგმის გადაკეთებას, რათა მან უკეთ ასახოს ქვეყნისა და დამსაქმებელთა საჭიროებები და სამედიცინო განათლების ამჟამინდელი ტენდენციები. ცვლილებების მამოძრავებელი ძალა დაიწყო ათი მიზნის იდენტიფიცირებით, რომელიც თანმიმდევრულია და ავსებს დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. ისინი წარმოადგენს მნიშვნელოვან მიზნებს საექიმო განათლებისთვის. გარდა ამისა, პროგრამამ ჩამოაყალიბა ცამეტი სწავლის შედეგის/კომპეტენციის დეტალური სია, რომელიც უკავშირდება მიზნებს და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საექიმო განათლებისთვის. პროგრამის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სტუდენტზე ორიენტირებული განათლების შესაბამის სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებს და შეფასების მეთოდებს, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ სწავლის ყველა შედეგის მიღწევა. მისი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების განვითარება დეტალურად ითვალისწინებს ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ანუ დამსაქმებლების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- ვებ-გვერდზე ატვირთული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, მიზნები, მისია.
- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, კურსდამთავრებულებთან, თვითშეფასების გუნდთან და დაინტერესებულ მხარეებთან, როგორებიცაა დამსაქმებლები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია, როგორც ცამეტი კომპეტენციის ჯგუფი, რომელიც მკაფიოდ ახასიათებს ცოდნას, უნარებსა და ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების დონეს, რაც კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების მოცემულ დონეს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად. „პროფესიონალიზმი“ ერთ-ერთი მათგანია და მისი ღირებულებები შეესაბამება საექიმო განათლების

საერთაშორისო ნორმებსა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როგორც ეს მოთხოვნილია დამსაქმებლები და ინტერესებული მხარეების მიერ. სასწავლო პროგრამის გადასინჯვა, რომელიც დაიწყო ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, მოიცავდა და კვლავ მოიცავს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრს, როგორც დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ.

პროგრამის შემსწავლელთათვის, დასახული მიზნების მისაღწევად, გამოყენებული მეთოდები ან სტრატეგიები ჩართულია სასწავლო გეგმაში. შეფასებები ხშირად ტარდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი დანიშნულებით და სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პროგრესის შესახებ. სასწავლო პროგრამაში აკადემიური მოსწრებისა და საერთო პროგრესის შესახებ მონაცემებს/ინფორმაციას მონიტორინგს უწევს ფაკულტეტი, აგრეთვე, პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფები და კომიტეტები. ამ მონიტორინგისთვის არსებობს პროცესი სასწავლო გეგმაში ცვლილებების გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, ყურადღების გამახვილება კურსდამთავრებულთა შედეგებსა და მათი გადინების მაჩვენებლებზე; შეფასების პროცესები; ხარისხის უზრუნველყოფის უკუკავშირი ხარვეზებისა და გადინების აღმოსაფხვრელად.
- პროგრამის აღწერილობის დოკუმენტი, ფოკუსირება შედეგებზე, გადინებაზე, შეფასების პარადიგმებსა და პრაქტიკაზე.
- ვებ-გვერდზე ატვირთული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, მიზნები, მისია.
- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელ დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

EPA-ს გამოცდების ახლად განხორციელებული პილოტი დამამთავრებელი კურსისთვის, როგორც სამაგისტრო სწავლისთვის მომზადება კლინიკურ გარემოში.

OSCE-ს, OSPE-ს გამოცდების, სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების, Mini-CEX-ის გამოყენება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების და საჯაროდ ხელმისაწვდომი ობიექტების მიმოხილვა ადასტურებს, რომ პროგრამა იცავს მთავრობისა და თსსუ-ს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ რეგულაციებს. ის გამჭვირვალეა. საქართველოს მოქალაქეებისთვის აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პროგრამამ გაზარდა მისაღები ქულების მინიმალური ოდენობა სხვადასხვა საგნებისათვის, კონკურენციის გაზრდის გამო. არამოქალაქეებისათვის პროგრამა იცავს წესებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. გარდა ამისა, პროგრამაში შეფასდა პროგრამაზე ჩარიცხულთა აკადემიური მოსწრება მათი მიღების მონაცემებთან მიმართებით. ამან ხელი შეუწყო ქულების ზღვარის დადგენას იმის დასადასტურებლად, რომ დაშვებული სტუდენტები მზად არიან პროგრამაში წარმატების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისი და გამჭვირვალეა, და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის; საგანმანათლებლო პროგრამის დახასიათება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.tsmu.edu.ge. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სოციალური ქსელის გვერდიდან, თსსუ-ს რეგულარული მონაწილეობით საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ღია კარის დღეებისა და სხვა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებით.

მნიშვნელოვნად გაზრდილი ბარიერი აუმჯობესებს ჩარიცხული სტუდენტების ცოდნის დონეს და უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტების შერჩევას. მაგალითად, 2012 წელს მისაღები გამოცდების ქულები იყო 35%+1, მაგრამ წლების განმავლობაში მუდმივი ზრდის შემდეგ, ქულები 2016-2017 წლებში 65% +1 გახდა, ხოლო 2017-2018 წლისთვის ისინი 70%-მდე გაიზარდა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და მათემატიკის მეცნიერებათა საგნებისთვის. 2012-2013 სასწავლო წლიდან 100%-იანი გრანტით ჩარიცხულ

სტუდენტთა რაოდენობა იზრდება 18,44%-დან და ბოლო წლებში ეს რიცხვი სტაბილურად აღემატება 40%-ს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- ინფორმაცია დაწესებულების/პროგრამის ვებგვერდიდან.
- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან და ფაკულტეტის პერსონალთან.
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; თსსუ-ს სტუდენტთა მობილობის წესი და რეგულაციები, შიდა მობილობის კრედიტების ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი შეიცვალა დროის ცვლილებისა და ქვეყნის საჭიროებების მიხედვით. პროგრამაში გამოყენებულია მისიხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და კომიტეტის სტრუქტურა საჭირო ცვლილებების დასადგენად, სტუდენტთა მიღწევების მტკიცებულებებზე და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე დაყრდნობით. პროგრამის ხანგრძლივობაა ექვსი წელი, ან თორმეტი სემესტრი და მოიცავს 360 ECTS კრედიტს (327 სავალდებულო, 33 არჩევითი). სემესტრების, წლებისა და მოდულების თანმიმდევრობა რაციონალური და პროგრესულია. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტები ეტაპობრივად სწავლობენ საჭირო შინაარსს და აზროვნების გზებს, ქმნიან თავიანთ ცოდნასა და კომპეტენციებს.

ექვსი წლის (12 სემესტრის) თანმიმდევრობა შემდეგნაირია: 1 - ოთხი სემესტრი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჰუმანიტარული და ბიოსამედიცინო მეცნიერებების საფუძვლები; 2 - ინტეგრირებული შინაარსის პრეკლინიკური ფაზის ორი სემესტრი; 3 - კლინიკური პრაქტიკის ოთხი სემესტრი; 4 - ორი სემესტრი უფრო თანამედროვე კლინიკური სწავლისა და არჩევითი საგნების სხვადასხვა სპეციალობებისა და კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად და მაგალითების საფუძველზე მოცემულია, თუ როგორ ხდება ცვლილებები სასწავლო პროგრამაში და მის პედაგოგიკაში როგორც უნივერსიტეტის სახელმძღვანელო მითითებების, ასევე პროგრამების ხელმძღვანელობისა და კომიტეტის უფლებამოსილების დაცვით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის განმახორციელებლებს აწვდის მუდმივ ინფორმაციას სტუდენტების შედეგების შესახებ. ხელმძღვანელობა მოიცავს კრიტიკულ დეტალებსა და გამოწვევებს, ხოლო სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომენტარებზე პასუხის გაცემა პრიორიტეტად არის მიჩნეული და მიზნად ისახავს თითოეული სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებულია ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, ორგანიზებულია მოდულური სწავლებით, კურსების შესაბამისობა თანმიმდევრულად არის განსაზღვრული. პროგრამის სტრუქტურა სათანადო და ლოგიკურია, პროგრამის შინაარსი უკავშირდება დაშვების წინაპირობებს ჩარიცხულთა წარმატების გონივრული მოლოდინით. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და დეტალურ კომპეტენციებთან.

დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად: 10 კრედიტი (ECTS) ეძღვნება სამეცნიერო უნარების განვითარებას (აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა,

ეპიდემიოლოგია). პროგრამაში სავალდებულოდ ითვლება კლინიკური უნარების ლაბორატორიაში კლინიკური უნარებისთვის გამოყოფილი 10 კრედიტი (ECTS).

საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს შესაბამისი სასწავლო კურსების/მოდულების სასწავლო გეგმა და სილაბუსები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიხედვით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და დარგობრივ მახასიათებლებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები, სასწავლო გეგმების რუკა.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის სტრუქტურაში სემესტრის შესაბამისად შემოთავაზებული არჩევითი კურსების ჩამონათვალის დამატება; ეს სტუდენტებს დამატებით ინფორმაციას მიაწვდის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს თითოეული კურსი/პრაქტიკული მეცადინეობა. თითოეული კურსის სილაბუსი მოიცავს შინაარსს, ECTS კრედიტების რაოდენობას, სტუდენტის დატვირთვას, წინაპირობებს, სწავლების მეთოდებს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმებს, სწავლის შედეგების შესაბამისს შინაარსს, რესურსებს. სწავლის შედეგები ძირითადად გაზომვადი და თანმიმდევრულია და ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებს. საკითხავი და სხვა სასწავლო მასალები ან რესურსები, რომლებიც საჭიროა ან რეკომენდებულია, ხშირად მრავალრიცხოვანია, მაგრამ ძირითადად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს.

სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალები ჩამოთვლილია სილაბუსებში. სასწავლო მასალის განახლება ხდება მიმდინარე საკითხების შესაბამისად და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მოდულში, კურსის სილაბუსები ცალკეა წარმოდგენილი, რაც ართულებს შინაარსის და შეფასების ინტეგრირებას.

ზოგიერთ შემთხვევაში მოდულები მითითებულია პროგრამაში, თუმცა ამ მოდულში შეტანილი კურსების სილაბუსები წარმოდგენილია ცალკე და არა ინტეგრაციაში. შესაბამისად, ამ კურსების სწავლება და შეფასება ასევე ინტეგრირებული არ არის, ამიტომ რეკომენდებულია ამ შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსი
- პროგრამა
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურსებისა და პრაქტიკული პროგრამების სილაბუსების ფორმატირება გაუმჯობესდება, თუ სწავლის შედეგების რაოდენობა შემცირდება და პროგრამის მიზნებს მოერგება. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის რუკის შემუშავებას, რაც ასევე, საშუალებას იძლევა შეფასებები დაუკავშირდეს სწავლის შედეგებს და შესაბამისად, იყოს დაშიფრული. ეს საშუალებას იძლევა უფრო ადვილად გამოვლინდეს ხარვეზები ან მეტი აქცენტი გაკეთდეს შინაარსობრივი ცოდნის შეფასებებზე.
- სილაბუსები გაუმჯობესდება სასწავლო მასალებისა და რესურსების ჩასწორებით და ისეთ საგნებზე ხაზგასმით, რომლებიც აკადემიური პერსონალის მიხედვით ყველაზე უხუსტი და შესაბამისია კონკრეტული კურსის ან პრაქტიკული პროგრამისთვის. ასევე, ამ წყაროებიდან მიღებული შინაარსი უნდა იყოს ინფორმაცია, საიდანაც გამომდინარეობს შეფასებები.
- ყველა მოდული უნდა ასახავდეს შინაარსისა და შეფასების ინტეგრაციას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, დოკუმენტაციაში მოცემულია შესაბამისი კურსები მოდულების გარეთ. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის განთავსება შესაბამის მოდულში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ძლიერი სწავლება, დაწყებული პაციენტის ისტორიის შექმნიდან, დამთავრებული უფრო ზოგადი პროცედურებით, რომელთა ცოდნაც კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს. ეს ყველაფერი ექვემდებარება „კლინიკურ უნარ-ჩვევებს“ და პროგრამა იყენებს უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციების ცენტრს სწავლებისა და შეფასებისთვის (OSCE-ს და OSPE-ს გამოცდები). პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირება იწყება პრეკლინიკური ეტაპის განმავლობაში (როგორც საჭიროა) და მოიცავს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მიერ ხელმძღვანელობასა და შეფასებას. ანატომიის სწავლებაში შედის რენტგენოლოგია, წიგნით და ცხოველების გვამებით სწავლება (ანატომიური მაგიდა) და ბოლო წელს ქირურგიის მოდულშიც კი არის ინტეგრირებული.

კვლევის უნარების საფუძვლები იწყება პირველ წელს აკადემიური წერისა და უცხო ენების (მათ შორის (ინგლისურის) სწავლებით. მეორე წელს შემოდის ბიოეთიკა და სამეცნიერო კვლევები. მესამე წლის განმავლობაში (VII და VIII სემესტრებში) ჩართულია საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა. გარდა ამისა, პროგრამა მხარს უჭერს მთელ რიგ დამხმარე სასწავლო შესაძლებლობებს, როგორცაა ჟურნალის კლუბები და სიმპოზიუმები. პრაქტიკული სწავლების ორგანიზება ისეთია, რომ სტუდენტი ერთ წელიწადში იძენს პაციენტის საწოლთან მუშაობის უნარებს (ქირურგია I) და კიდევ უფრო ვითარდება, მაგალითად, კურსებში - ქირურგია II და III.

უნივერსიტეტი და პროგრამა მხარს უჭერს სტუდენტის მონაწილეობას სამეცნიერო კვლევით პროექტებში და წვლილი შეაქვს საზოგადოების/მოსახლეობის ამჟამინდელ საჭიროებებში. მაგალითად, უამრავმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა პანდემიის მართვასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ასისტენტობის საშუალებით. წარსულში ისინი, ასევე, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ სამუშაოებში, რომლებიც დაკავშირებული იყო C ჰეპატიტთან, წითელას ვაქცინაციასთან და საზოგადოების სხვა საქველმოქმედო ღონისძიებებსა და პროექტებთან. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ პროგრამა/უნივერსიტეტი მათ ხელს უწყობს კვლევაში და რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე კვლევის პრეზენტაციაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- კურსისა და სამედიცინო პრაქტიკის სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები პედაგოგიურ პერსონალთან,
სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
- ტურები კლინიკური უნარებისა და სიმულაციების ობიექტებზე,

საავადმყოფოებში, კლინიკებში.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღსანიშნავია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო ინტეგრირებულ და მოდულურ სასწავლო გეგმაზე გადასვლა, ვიდრე დისციპლინაზე დაფუძნებულზე. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს. პროგრამის დანერგვა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების შემუშავება, რა თქმა უნდა, შეესაბამება ამ სტანდარტს და საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს საექიმო განათლებისთვის. კურსის შინაარსი, განსაკუთრებით კლინიკური ტრენინგის ადგილებში, კარგად</p>

შეესაბამება აღწერილი სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, როგორცაა პაციენტის საწოლთან სწავლება, მანეკენის გამოყენება სიმულაციის ცენტრში, სტანდარტიზებული პაციენტების მიღება კლინიკური უნარების ცენტრში. კურსდამთავრებულები, რომლებიც სწავლობდნენ სასწავლო კურსებშიცვლილებების დაწყებამდე, აღნიშნავენ, რომ შურთ ამჟამინდელი სტუდენტების სწავლების. ამჟამინდელი სტუდენტები დადებითად აფასებენ საგნების სფეროების ინტეგრაციას, რომელიც კომბინირებულია საკლასო სწავლების სხვადასხვა სტრატეგიასთან, მაგ. ანატომია + რენტგენოლოგია + ქირურგია.

სამედიცინო დარგში სწავლებისა და სწავლის თანამედროვე სტრატეგიების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამა ლექციების, პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL), მცირე ჯგუფური დისკუსიების, როლური თამაშის, სტანდარტიზებული პაციენტების, საწოლთან სწავლებისა და შეფასების (Mini-CEX) ნაცვლად იყენებს „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მიდგომებს და ახლახანს პილოტირდა „უფლებამოსილი პროფესიული საქმიანობის“ (EPA) გამოყენება. გარდა ამისა, პროგრამაში შემოთავაზებულია სწავლის ინდივიდუალურ დაგეგმვა სპეციალური საგანმანათლებლო ან სიტუაციური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის, რაც შეესაბამება სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს. დოკუმენტებში არ არის მითითებული, თუ როგორ ტარდება პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), ან კონკრეტულად რას გულისხმობენ „შებრუნებულსაკლასო ოთახში“. არსებობს პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL), ასევე „შებრუნებული საკლასო ოთახის“ პრაქტიკის ფართო სპექტრი და პროგრამაში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის უფრო ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ არის შექმნილი და ხორციელდება არა-სალექციო სტრატეგიები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის აღწერილობა მიუთითებს კლინიკური სწავლების მრავალ ობიექტზე, ეს ინფორმაცია მეტწილად არ ჩანს სილაბუსებში. იგივე შეიძლება ითქვას ინფორმაციაზე (სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის) იმის შესახებ, თუ რა დრო ეთმობა აღნიშნულ ობიექტებს კონკრეტულპრაქტიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან.
- სილაბუსების მასალები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიეთითოს კონკრეტულად რა იგულისხმება „შებრუნებულ საკლასო ოთახში“, როგორ ახორციელებს პროგრამა პრობლემაზე დაფუძნებულ (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL), ან სხვა არა-სალექციო სტრატეგიებს აუდიტორიაში.
- თითოეული სილაბუსი გაუმჯობესდება, თუ მასში განსაზღვრული იქნება საათების რაოდენობა, რომელსაც სტუდენტები უთმობენ სწავლება-სწავლის კონკრეტულ სესიას, ანუ უნდა დაკონკრეტდეს ლექციების, პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL), კლინიკური უნარების ტრენინგის საათების რაოდენობა. ამის გაკეთება აკადემიურ პერსონალსა და ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს, განსაზღვრონ მიზნები სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო სტრატეგიების გაზრდისთვის.
- პრაქტიკული მეცადინეობის სილაბუსებს უნდა დაემატოს კონკრეტული ინფორმაცია იმ ობიექტების შესახებ, სადაც სტუდენტები ისწავლიან: ესარის ამბულატორიული ან სტაციონარული გარემო; როგორია სავარაუდო დრო (40-50 საათი კვირაში; გამოძახება/ლამის ცვლა).
- პრაქტიკული მეცადინეობის სილაბუსებში მიეთითოს პირობები (მაგალითად, ბაქტერიული პნევმონიის შემთხვევა, ნაწლავის მწვავე ობსტრუქცია), რომელთა ნახვა და შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტული როტაციის დროს; საქმისწარმოების სისტემაში გაკეთდეს აღნიშვნა, რომლის საშუალებითაც პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელს/ინტრუქტორს შეეძლება მოახდინოს შემოწმება და სტუდენტსთვის ალტერნატიული სასწავლო გამოცდილების შეთავაზება, იმ შეთხვევებისთვის, რომლებიც არ ჩანს/არ არის შეფასებული. შემთხვევები ან პირობები უნდა წარმოადგენდეს ყველაზე გავრცელებულს ქვეყანაში, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკული მდგომარეობის შექმნა.
- პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში განისაზღვროს და მიეთითოს „ინტერაქტიული ლექციების“ კონკრეტული მაგალითები. ტერმინი „შებრუნებულ საკლასო ოთახში“ ასოცირდება ამა თუ იმ კონკრეტულ სწავლების/სწავლის სტრატეგიასთან, როგორცაა, გუნდური სწავლება, კოლეგის ინსტრუქტაჟი, მიდგომა - „იფიქრე-დააწყვილე-გააზიარე“. „ლექციები“, რომლებიც კითხვებითა და პასუხებით არის შემოფარგლული კვლავ „ლექციებად“ რჩება, შეიმჩნევა ძირითადად პასიური სტრატეგია, სწავლის უმნიშვნელო შედეგებით და ეს არ წარმოადგენს „შებრუნებულ საკლასო ოთახს“.
- თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პრეკლინიკური სწავლების წლებში ფიქსირდება უფრო მაღალი გადინება. იქვე აღნიშნულია, რომ ეს ხდება ზოგიერთი სტუდენტის გამო, რომელმაც შესაძლოა გააცნობიერეს, რომ არ შეეფერება ამ პროფესიას. ამის მიზეზი შეიძლება, ასევე, იყოს, რომ ამ პერიოდის სწავლების მეთოდები არც ისე სრულად არის სტუდენტზე ორიენტირებული, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო. სხვა პროგრამებში დადგინდა, რომ პრეკლინიკური ფაზის უფრო აქტიურ/ჩართულ სწავლებად

<p>გარდაქმნის გზით მცირდება სტუდენტთა გადინება. დაწესებულებას ვურჩევთ, იპოვოს აქტიური სწავლის გაზრდისა და ლექციების დროის შემცირების გზები.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა სკრუპულოზურად ექვემდებარება მიღწევების შეფასებისთვის განსაზღვრულ მთავრობის რეგულაციებს. კარგად ჩანს კრედიტების განაწილებისა და სწავლის კომპონენტების (რომლებიც უკავშირდება სწავლის შედეგებს) შესრულების საათების შესაბამისობა. ზოგადად, თითოეულ კურსს/პრაქტიკულ სწავლებას აქვს შუალედური გამოცდა და დასკვნითი შემაჯამებელი გამოცდა. შემუშავებულია დასკვნითი გამოცდის ჩაბარების კრიტერიუმები, რომლებიც ემყარება სწავლების პერიოდში მიღებულ ქულებს. არსებობს ქულების მინიჭების სტანდარტები, მაგალითად, A, B, C, D, E და ორი არასასურველი ნიშანი - FX და F. გამოცდის ჩატარების პროცესი გამჭვირვალეა. პროგრამაში განხორციელებულია საპილოტე პროცესი სტუდენტების შეფასებისთვის: უფროსიკურსების სტუდენტებისათვის გამოიყენება „უფლებამოსილი პროფესიული საქმიანობის“ (EPA) სისტემა.კლინიკის სწავლების ყველა სტუდენტი ფასდება კლინიკურ</p>

პირობებში Mini-CEX-ით და პრაქტიკულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვების შედეგად.ამჟამად, არსებობს საგამოცდო ცენტრი, სადაც გამოცდები ტარდება კომპიუტერის საშუალებით, და სტუდენტი იღებენ სწრაფ შეფასებასა და უკუკავშირს. პროგრამაში შეფასებულია საგამოცდო კითხვების ხარისხი, ასევე, ზომები კითხვის სირთულის შესასწორებლად და იმ საგამოცდო კითხვების ამოსაღებად, რომლებსაც სტუდენტები პასუხს სცემენ წლების განმავლობაში.

სტუდენტის შეფასება ემყარება შემდეგ პრინციპებს: მიზანშეწონილობა, საიმედოობა, სისწორე და გამჭვირვალობა. პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. რუბრიკების რანჟირება თითოეული კომპონენტისა და ქულებისთვისწარმოდგენილია სილაბუსში. სილაბუსი ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია. პროგრამა იყენებს ობიექტურად სტრუქტურირებულ პრაქტიკულ გამოცდას (OSPE) და ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას (OSCE). აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს პროფესორებს დამატებითი მითითებების მისაღებად.

